

კავკასიის უნივერსიტეტი



კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის

საბაკალავრო პროგრამა

„ ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ა “

კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება			
	არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა		
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე			
	Undergraduate Program in Architecture		
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური			
	ბაკალავრიატი		
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი			
	აკადემიური		
სწავლების ენა			
	ქართული		
მისანიჭებელი კვალიფიკაცია			
ქართულად:	არქიტექტურის ბაკალავრი	1101	
ინგლისურად:	Bachelor of Architecture	1101	
პროგრამის დამტკიცების თარიღი			
	2016 წლის 26 თებერვალი		
საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი			
	მარინე მაისურაძე PhD		
პროგრამის მოცულობა კრედიტებით			
<p>პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაციის მისაღებად გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის ათვისება. თითოეულ წელიწადში საშუალოდ 60 ECTS კრედიტის განაწილებით.</p> <p>საბაკალავრო პროგრამის სწავლების ვადაა ოთხი, ხოლო დასაშვები ხანგრძლივობა ექვსი წელიწადი.</p> <p>1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.</p> <p>პროგრამით განსაზღვრული დატვირთვის კრედიტების საერთო რაოდენობა გადანაწილებულია შემდეგნაირად:</p> <ul style="list-style-type: none"> • ზოგადი საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები - 35 ECTS კრედიტი (მათ შორის სავალდებულო ინგლისური ენა - მინიმალური მისაღწევი ენობრივი კომპეტენცია B2 დონე); • საბაზისო და დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები- 190 ECTS კრედიტი; • დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსები- 15 ECTS კრედიტი. <p>სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 240 ECTS კრედიტის ფარგლებში, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მაქსიმუმ 10 ECTS კრედიტი აითვისოს ალტერნატიული გზით - თავისუფალი კრედიტებით.</p> <p>არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შედეგად აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.</p>			
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა			
<ul style="list-style-type: none"> • არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. • პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში. 			

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დონის არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება. მისცეს სტუდენტს ზოგადი და ფართო ცოდნა მის მიერ არჩეულ სპეციალობაში შეისწავლოს პროექტირების და მშენებლობის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და დამუშავება. არქიტექტურის საფუძვლების, დაპროექტების ძირითადი პრინციპების და მეთოდების მცოდნე შემოქმედებითი აზროვნების მქონე სპეციალისტის მომზადება, რაც წინაპირობაა მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა ან წარმატებული პროფესიული კარიერისთვის, რომელსაც შეეძლება დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობის უფლების მქონე პირის ხელმძღვანელობით და მითითებებით არქიტექტურული კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა.

პროგრამის ამოცანები

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ზოგადი და ფართო ცოდნა არქიტექტურაში, პროექტირებაში; ზოგადი ცოდნა ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიაში, არქიტექტურულ ტექნოლოგიებში, მდგრადი არქიტექტურის პრობლემებსა და პრინციპებზე, რეკონსტრუქცია-რესტავრირების პრინციპებზე და ურბანული დაგეგმარების საფუძვლებზე, ასევე, შენობის გეგმარებისთვის საჭირო ნორმებსა და სტანდარტებზე. პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევები, პროექტირების და მშენებლობის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, შენობის პროექტირებიდან მშენებლობამდე გასავლელი ეტაპების, პროექტის მენეჯმენტის ზოგადი უნარების ცოდნა;
- არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:**
- არქიტექტურის დარგში მიმდინარე ცვლილებების, პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი;
- ტექნიკური პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარი;
- პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი;
- თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრებისა და კომპლექსური საკითხების გაცნობიერების უნარი;
- მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- მომიჯნავე დარგის სპეციალისტებთან ერთად მუშაობის ცოდნის უნარი.
- ქართულ და ინგლისურ ენებზე ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტების ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენებით.
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი.

პროგრამის სწავლის შედეგები

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.

- არქიტექტურის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.
- ქალაქთმშენებლობის, მოცულობითი არქიტექტურის, გარემოს დიზაინისა და ინტერიერის მიმართულებით პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობების გაცნობიერება;
- არქიტექტურულ პროექტირებაში მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა
- კონსტრუქციული, ტექნიკური, ტექნოლოგიური და შენობის დაპროექტებასთან დაკავშირებული საინჟინრო პრობლემების ცოდნა.
- არქიტექტურაში კომპოზიციის კანონების, არქიტექტურის ისტორიის და თეორიის, სახვითი ხელოვნების, ბუნებრივ – კლიმატური ფაქტორების, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების, როგორც არქიტექტურულ დაპროექტებაზე გავლენის მქონე სფეროების ცოდნა და გაცნობიერება;
- საპროექტო მასალის ვიზუალიზაციისთვის პროფესიული ხერხების ცოდნა /საინჟინრო გრაფიკის კომპიუტერული პროგრამები/;
- დაპროექტების თეორიის და მეთოდების, სხვადასხვა კონსტრუქციების, მასალების თვისებების და მშენებლობის მეთოდების ცოდნას;
- არქიტექტურული გარემოს შექმნისათვის აუცილებელი სოციალური კონტექსტის გაცნობიერება;
- ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპების, შენობა-ნაგებობებზე გარე ფაქტორების ზემოქმედების ცოდნა და გაცნობიერება;
- მშენებლობაში გამოყენებული ახალი ტექნოლოგიების, საინჟინრო კომუნიკაციების, ტექნიკური მომსახურების, მათი უსაფრთხოების სისტემების გაცნობიერება.
- ადეკვატური არქიტექტურული ენითა და საშუალებებით არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი ნამუშევრების შექმნის და წარდგენის უნარი;
- ბუნებრივ-კლიმატური, ქალაქთმშენებლობითი ფაქტორების, ფუნქციური, ესთეტიკური, ტექნიკური მოთხოვნების, უსაფრთხოების ტექნიკის, ერგონომიკული თავისებურებების და კომპოზიციის კანონების გათვალისწინებით და შესაბამისი მითითებებით დაპროექტება
- მოქმედი საკანონმდებლო აქტების და ნორმატიული წესების საფუძველზე, ნახაზების, სქემების, ჩანახატების, ესკიზების და მოდელირების გამოყენებით, დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობის უფლების მქონე პირის მითითებებით, არქიტექტურული პროექტების დამუშავების უნარი:
 - შენობის პროექტირება - იდეიდან განხორციელებამდე ;
 - ხელით ნახაზის შესრულება, 2-D და 3-D კომპიუტერული მოდელირება, ობიექტის სივრცული მოდელის შესრულება;
 - მუშა ნახაზების წაკითხვა და შესრულება
 - რესტავრაცია/რეკონსტრუქციის პრინციპების გამოყენება
 - ქალაქგეგმარებითი პრინციპების გამოყენება
 - ხელოვნების ისტორიის ძველი თუ ახალი მიმართულებებს ცოდნის გამოყენება არსებულ რეალურ სიტუაციაში;
 - შენობის აზომვა, ნახაზის გრაფიკული შესრულება;
 - კონსტრუქციული ნახაზის წაკითხვა,
 - მშენებლობის თანამედროვე ტექნოლოგიების და მასალების გამოყენება განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას, ინფორმაციის წყაროების (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებ გვერდები) დადგენას და შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით დამატებითი ინფორმაციის მოძიებას;
- მათემატიკის, კომპიუტერული საკომუნიკაციო მეცნიერების პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად აბსტრაქტული მონაცემები და კონცეფციები გამოიყენოს მოცემული საჭიროებისათვის კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებისას და კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად.
- არქიტექტურაში პრობლემის ანალიზისა და მისი აღმოფხვრისათვის საჭირო მოთხოვნების იდენტიფიცირებისა და განსაზღვრის უნარი;
- იდეების ვერბალური საშუალებებით გადმოცემის უნარი;
- ტექნიკური, ორგანიზაციური და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები და(თვით)კრიტიკული განსჯის უნარი;
- გამოუმუშავებული აქვს რაოდენობრივი მსჯელობის უნარი, შეუძლია რაოდენობრივი სახით მიწოდებული ინფორმაციის (ცხრილები, დიაგრამები, მათემატიკური გამონათქვამები) დამუშავება, ანალიზი და მსჯელობა. შეუძლია მათემატიკური და ყოფითი ხასიათის რაოდენობრივი ამოცანების გადაჭრა;
- არქიტექტურის სფეროში არსებული მკაფიოდ გამოკვეთილი ამოცანის ან პრობლემების ამოცნობა, განყენებული მონაცემების, სიტუაციების, კონსტრუქციული, ტექნიკური, ტექნოლოგიური და პროექტირებასთან დაკავშირებული სხვა საინჟინრო პრობლემების გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების მიხედვით შეუძლია პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება და მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია;

- აქვს ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და რეზიუმირების უნარი, შეუძლია ნაშრომის/ტექსტის გაფორმება, პლაგიატობის თავიდან აცილება, სხვათა ნაშრომების ციტირებისა და რეფერირების წესების დაცვით.
- ქართულ და ინგლისურ ენებზე იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემას, ასევე შეუძლია დარგობრივი ლიტერატურის წაკითხვა და გააზრება;
- უცხო გარემოში ადაპტირება და მოქმედება, აგრეთვე ადამიანებთან ურთიერთობა და დიალოგის წარმოება;
- თავისუფლად შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენება;
- გუნდური მუშაობა პროექტირებისას; ჯგუფურ პროექტში ეფექტურად ჩართვის, მონაწილეობისა და ფუნქციების შესრულების უნარი;
- ფართო აუდიტორიის წინაშე პროექტის წარდგენისა და დაცვის უნარი;
- აქვს უნარი მისთვის სასურველი ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების;
- შეუძლია მიღებული ცოდნის შემოქმედებითად გამოყენება.
- უახლესი მიდგომების, თანამედროვე უნარ-ჩვევებისა და არქიტექტურაში ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენების უნარი;
- პროფესიული ცოდნის მუდმივად განახლების, კრიტიკული აზროვნებისა და ახალი ცოდნის მიღების აუცილებლობის დანახვისა და მისი შეძენის უნარი;
- კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით, საკუთარი სწავლის შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სწავლის გაგრძელება
- დროის რაციონალურად გამოყენება და განაწილება.
- ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.
- საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა, დამოუკიდებლად, გაბედულად, კრიტიკულად აზროვნება
- პროფესიული, ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობების კარგად გააზრების უნარი;
- არქიტექტურულ გარემოში მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობიერება და მათი გათვალისწინებით ქმედების უნარი.
- პატივს სცემს მსჯელობის და აზროვნების სხვადასხვა ფორმას
- შეუძლია დამოუკიდებლად, გაბედულად, კრიტიკულად აზროვნება
- არქიტექტურისთვის დამახასიათებელი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;
- მონაწილეობა მიიღოს ლიბერალური ღირებულებების ჩამოყალიბებაში, აქვს მოვლენების ინტელექტუალური და ეთიკური შეფასების უნარი

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო არქიტექტურულ ან კონსტრუქტორის სახელოსნოებში, სამშენებლო კონპანიებში, სახელმწიფო სტრუქტურაში - მერიაში.

პროგრამის კურსდამთავრებულებმა შესაძლებელია იმუშაონ ისეთ პოზიციებზე, როგორცაა:

- ადგილობრივი თვითმმართველობის (სანებართვო, მარეგულირებელი და მაკონტროლებელი) ორგანოები;
- არქიტექტურული საპროექტო და დიზაინ-სტუდიები;
- არქიტექტურულ-სამშენებლო და დეველოპერული კომპანიები;
- ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურები და ფონდები;
- აზომვითი სამუშაოების მწარმოებელი ფირმები და სხვა.

სწავლის გაგრძელების საშუალება

შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერ სამაგისტრო პროგრამაზე საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, გარდა იმ სამაგისტრო პროგრამებისა, რომელთა აუცილებელი მოთხოვნაა საბაკალავრო დიპლომის ფლობა იგივე სპეციალობაში (როგორცაა იურიდიული და სამედიცინო პროგრამები).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებულ ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში (გარდა B2 დონის ინგლისური ენის) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება; სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%. სხვა დანარჩენ სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და უზრუნველყოფენ შედეგის მიღწევას, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოიყენება შემდეგი სახის მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.
- წიგნზე მუშაობის მეთოდი.
- ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდები
- დისკუსია/დებატები
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- ელექტრონული სწავლება (E-learning)
- შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი,
- სწავლების დედუქციური მეთოდი,
- ანალიზის მეთოდი,
- სინთეზის მეთოდი და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

პროგრამას ემსახურება კავკასიის უნივერსიტეტის ოცდათექვსმეტი აკადემიური პერსონალი, კერძოდ რვა პროფესორი, ორი ასოცირებული პროფესორი, ერთი ასისტენტ პროფესორი და ოცდახუთი მოწვეული ლექტორი. რომლებიც საკუთარი კვალიფიკაციის შესაბამისად უშუალო მონაწილეობას იღებენ სტუდენტებში პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციების განვითარებაში.

პროგრამის სხვა რესურსები

პროგრამის განხორციელებაში საუნივერსიტეტო შიდა რესურსის გარდა მონაწილეობენ უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები.

კავკასიის უნივერსიტეტის და კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის მემორანდუმის ფარგლებში პარტნიორი საჯარო და კერძო ორგანიზაციებია:

- ქ. თბილისის მერია;

საპროექტო-სამშენებლო კომპანიები:

- შპს არქიტორიდი;
- შპს გოდაკო-2;
- შპს სედუმ. არქიტექტორები;
- შპს არქიტექტურის ლაბორატორია N3;
- შპს არტსტუდიო პროექტი;
- შპს დმ სტუდიო
- შპს „არქიტექტორები.ჯი“
- შპს „გია და არჩილ ქურდიანების სტუდია <<დინასტია>>“

კავკასიის უნივერსიტეტი ასევე თანამშრომლობს და ტექნოლოგიების სკოლის პროგრამების მიმართულებით მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- Riga Technical University;
- Kaunas University Of Technology;
- Riga International School of Economics and Business Administration (RISEBA)
- Upper Austria University of Applied Sciences;
- Ming Chuan University of Taiwan;
- IESB, Brasilia Higher Education Institute, Brazil.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური და ტექნიკური რესურსი. კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი, სათანადოდ აღჭურვილი ელექტრონიკის და კომპიუტერული ქსელების ლაბორატორია. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა) და სასწავლო ინვენტარით (თეთრი დაფა, მერხი, სკამი).

უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული წიგნადი და ელექტრონული ფონდი ასევე უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგის მიღწევას. ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობა შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს.

საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამის პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

აღნიშნული რესურსები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილია პროგრამისთვის შემუშავებული საკუთარი ბიუჯეტით, რაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში.

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
ზოგადი საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები													
1.	CIS 1140		საოფისე კომპიუტერული პროგრამები	x								5	
2.	WRT 1140		აკადემიური წერა		x							5	
3.	ENGL 0007		B2.0 ზოგადი ინგლისური	x								5	
4.	ENGL 0008	ENGL 0007	B2 ზოგადი ინგლისური		x							5	
ზოგადი საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები													
5.	HIST 0001		მსოფლიო ისტორიისა და ცივილიზაციის შესავალი			x						5	
6.	POLS 0002		პოლიტოლოგია										5
7.	SOCI 0004		სოციოლოგია										5
8.	PHIL 0005		ფილოსოფია										5
9.	PSYC 0006		ფსიქოლოგია										5
10.	HIST 0003		საქართველოს ისტორია										5
11.	ENGL 0005		B1.0 ზოგადი ინგლისური ¹	x								5	
12.	ENGL 0006	ENGL 0005	B1 ზოგადი ინგლისური ¹		x							5	
13.	ENGL 0009	ENGL 0008	C1.0 ზოგადი ინგლისური			x						5	
14.	ENGL 0010	ENGL 0009	C1 ზოგადი ინგლისური				x					5	
15.	PHYS 2140	MATH 0003	ფიზიკის საფუძვლები			x						5	
16.	MATH 0001		პრეკალკულუსი ²	x								5	
საბაზო და დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები													
17.	MATH 0003		კალკულუსი I	x								5	
18.	ARCH 1141		ხაზვა I	x								5	
19.	ARCH 1142		სახვითი ხელოვნება I	x								5	
20.	ARCH 1143		არქიტექტურული კომპოზიცია	x								5	
21.	ARCH 1242	ARCH 1142	სახვითი ხელოვნება II		x							5	

№	საგნის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
22.	ARCH 1243		შესავალი სპეციალობაში		x								5
23.	ARCH 1244	ARCH 1141	კომპიუტერული გრაფიკა AutoCAD არქიტექტორებისთვის		x								5
24.	ARCH 1245		არქიტექტურული სტილები და მიმართულებები I		x								5
25.	ARCH 2141	ARCH 1243	არქიტექტურული დაგეგმარება I			x							5
26.	ARCH 2142		არქიტექტურული კონსტრუქციები I			x							5
27.	ARCH 2143	ARCH 1141	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა ArchiCAD			x							5
28.	ARCH 2145	ARCH 1245	არქიტექტურული სტილები და მიმართულებები II			x							5
29.	ARCH 2241	ARCH 2142	არქიტექტურული კონსტრუქციები II				x						5
30.	ARCH 2242		შრომის უსაფრთხოება				x						5
31.	ARCH 2244	ARCH 2141	არქიტექტურული დაგეგმარება II				x						5
32.	ARCH 2245		გეოდეზია				x						5
33.	ARCH 3143		საშენი მასალები და ნაკეთობები				x						5
34.	ARCH 3140		ქართული სახლი					x					5
35.	ARCH 3141	ARCH 2244	არქიტექტურული დაგეგმარება III					x					5
36.	ARCH 3142	ARCH 1243	ქალაქთმშენებლობის თეორია					x					5
37.	ARCH 3144	ARCH 1243	მცირე დასახლების დაპროექტება					x					5
38.	ARCH 3146	ARCH 1244	კომპიუტერული გრაფიკა Revit architecture I					x					5
39.	ARCH 3241	ARCH 3142	ქალაქის დაპროექტება						x				5
40.	ARCH 3242	ARCH 3142	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაგეგმარება						x				5
41.	ARCH 3243		ლანდშაფტური არქიტექტურა						x				5
42.	ARCH 3244	ARCH 3141	არქიტექტურული დაგეგმარება IV						x				5
43.	ARCH 3245	ARCH 1242	ინტერიერის დიზაინი						x				5
44.	ARCH 3246	ARCH 3146	კომპიუტერული გრაფიკა Revit architecture II						x				5
45.	ARCH 4141		შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება							x			5
46.	ARCH 4142	ARCH 3142	მდგრადი არქიტექტურის პრობლემები							x			5
47.	ARCH 4143	ARCH 3142	შენობათა რეკონსტრუქცია, რეგენერაცია, ადაპტაცია								x		5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
48.	ARCH 4144		პროექტირების მენეჯმენტი								x		5
49.	ARCH 4145		მშენებლობის წარმოების ტექნოლოგია								x		5
50.	ARCH 4241	ARCH 4143	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საფუძვლები									x	5
51.	ARCH 4242		სამშენებლო თბოფიზიკა და ენერგოეფექტური შენობები									x	5
52.	ARCH 4243		საინვესტიციო დაგეგმარება									x	5
53.	ARCH 4244		არქიტექტურული პროექტი									x	10
დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსები													
54.	ARCH 1241		ხაზვა II					x					5
55.	ARCH 1246		ფორმათწარმოქმნა არქიტექტურაში					x					5
56.	ARCH 3145	ARCH 1245	დისკურსის თემები თანამედროვე არქიტექტურაში					x					5
57.	ARCH 4146		გრაფიკული დიზაინი								x		5
58.	ARCH 4147		თანამედროვე არქიტექტურის კომპოზიციური თავისებურებები								x		5
59.	ARCH 4245		ინტერიერის 3D მოდელირება									x	5
60.	ARCH 4246	ARCH 4142	მდგრადი არქიტექტურის სემინარი									x	5
61.			თავისუფალი კრედიტი ³									x	5
ECTS კრედიტები				სემესტრში	30	30	30	30	30	30	30	30	30
				წელიწადში	60	60	60	60	60	60	60	60	
საგნების რაოდენობა წელიწადში					12	12	12	12	12	12	12	11	

შენიშვნა:

¹ B1 დონის ზოგადი ინგლისური ენის საგნებს შეისწავლიან B2 დონისთვის არასაკმარისი კომპეტენციის მქონე სტუდენტები, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.
² პრეკალკულუსს შეისწავლიან მათემატიკაში დაბალი კომპეტენციის მქონე სტუდენტები, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.
³ სტუდენტს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში შეუძლია შეისწავლოს საგნები (10 ECTS კრედიტი) უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ან/და ამავე პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგნებიდან.

პროგრამის საათობრივი გაანგარიშება

№	ს ა გ ა ნ ი	ECTS კრედიტი სთ	ლექცია / პრაქტიკული	სემინარი	შუალედური და დასკვნითი გამოცდა	პრეზენტაცია	დამოუკიდებელი მუშაობა
1.	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5/125	19	5	4	2	95
2.	აკადემიური წერა	5/125	21	3	4	2	95
3.	B1.0 ზოგადი ინგლისური	5/125	53	9	4	2	57
4.	B1 ზოგადი ინგლისური	5/125	53	9	4	2	57
5.	B2.0 ზოგადი ინგლისური	5/125	58	3	4	3	57
6.	B2 ზოგადი ინგლისური	5/125	57	3	5	3	57
7.	C1.0 ზოგადი ინგლისური	5/125	58	3	4	3	57
8.	C1 ზოგადი ინგლისური	5/125	58	3	4	3	57
9.	პრეკალკულუსი	5/125	18	6	4	2	95
10.	მსოფლიო ისტორიისა და ცივილიზაციის შესავალი	5/125	14	10	4	2	95
11.	პოლიტოლოგია	5/125	17	7	4	2	95
12.	საქართველოს ისტორია	5/125	19	5	4	2	95
13.	სოციოლოგია	5/125	20	4	4	2	95
14.	ფილოსოფია	5/125	17	7	4	2	95
15.	ფსიქოლოგია	5/125	18	4	4	4	95
16.	კალკულუსი I	5/125	18	6	4	2	95
17.	ფიზიკის საფუძვლები	5/125	21	5	4		95
18.	ხაზვა I	5/125	26		4		95
19.	ხაზვა II	5/125	26		4		95
20.	სახვითი ხელოვნება I	5/125	26		4		95
21.	სახვითი ხელოვნება II	5/125	26		4		95
22.	შესავალი სპეციალობაში	5/125	26		4		95
23.	არქიტექტურული კომპოზიცია	5/125	26		4		95
24.	კომპიუტერული გრაფიკა AutoCAD არქიტექტორებისთვის	5/125	26		4		95
25.	საშენი მასალები და ნაკეთობები	5/125	24	2	4		95
26.	გეოდეზია	5/125	26		4		95
27.	შრომის უსაფრთხოება	5/125	24	2	4		95
28.	არქიტექტურული კონსტრუქციები I	5/125	25	1	4		95
29.	არქიტექტურული კონსტრუქციები II	5/125	26		4		95
30.	ფორმათწარმოქმნა არქიტექტურაში	5/125	26		4		95
31.	არქიტექტურული სტილები და მიმართულებები I	5/125	19	3	4	4	95
32.	არქიტექტურული სტილები და მიმართულებები II	5/125	19	3	4	4	95
33.	ქართული სახლი	5/125	25	1	4		95
34.	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა ArchiCAD	5/125	26		4		95
35.	არქიტექტურული დაგეგმარება I	5/125	26		4		95
36.	არქიტექტურული დაგეგმარება II	5/125	26		4		95

№	ს ა გ ა ნ ი	ECTS ჯ რ ე დ ი ტ ი ს ი	ლ ე კ ც ი ა / პ რ ა კ ტ ი კ უ ლ ი	ს ე მ ი ნ ა რ ი	შ უ ა ლ დ ე ლ ი და დ ა ს კ ე ნ ი თ ი გ ა მ ო ც დ ა	პ რ ე ზ ე ნ ტ ა ც ი ა	დ ა მ ო უ კ ე დ ე ბ ე ლ ი მ უ მ ზ ო ბ ა
37.	არქიტექტურული დაგეგმარება III	5/125	26		4		95
38.	არქიტექტურული დაგეგმარება IV	5/125	26		4		95
39.	ქალაქთმშენებლობის თეორია	5/125	21	3	4	2	95
40.	ლანდშაფტური არქიტექტურა	5/125	21	5	4		95
41.	ინტერიერის დიზაინი	5/125	26		4		95
42.	კომპიუტერული გრაფიკა Revit architecture I	5/125	26		4		95
43.	კომპიუტერული გრაფიკა Revit architecture II	5/125	26		4		95
44.	დისკურსის თემები თანამედროვე არქიტექტურაში	5/125	19	3	4	4	95
45.	მდგრადი არქიტექტურის პრობლემები	5/125	18	6	4	2	95
46.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაგეგმარება	5/125	26		4		95
47.	მცირე დასახლების დაპროექტება	5/125	22		4	4	89
48.	ქალაქის დაპროექტება	5/125	22		4	4	89
49.	შენობათა რეკონსტრუქცია, რეგენერაცია, ადაპტაცია	5/125	18	6	4	2	95
50.	პროექტირების მენეჯმენტი	5/125	18	6	4	2	95
51.	მშენებლობის წარმოების ტექნოლოგია	5/125	18	6	4	2	95
52.	შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება	5/125	26		4		95
53.	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საფუძვლები	5/125	18	6	4	2	95
54.	სამშენებლო თბოფიზიკა და ენერგოეფექტური შენობები	5/125	18	6	4	2	95
55.	საინვესტიციო დაგეგმარება	5/125	18	6	4	2	95
56.	გრაფიკული დიზაინი	5/125	26		4		95
57.	მდგრადი არქიტექტურის სემინარი	5/125	18	6	4	2	95
58.	თანამედროვე არქიტექტურის კომპოზიციური თავისებურებები	5/125	18	6	4	2	95
59.	ინტერიერის 3D მოდელირება	5/125	26		4		95
60.	არქიტექტურული პროექტი	10/250	40	4			205

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი

#	სახელი და გვარი	სტატუსი	საგანი
1.	ქეთევან დათუიშვილი	პროფესორი	საოფისე კომპიუტერული პროგრამები
2.	ნინო ბერაძე	მოწვეული ლექტორი	აკადემიური წერა
3.	ეკა კვაჭანტირაძე	პროფესორი	მსოფლიო ისტორიისა და ცივილიზაციის შესავალი
4.	სალომე გოგბერაშვილი	მოწვეული ლექტორი	B1 ზოგადი ინგლისური B1.0 ზოგადი ინგლისური
5.	თამარ შარაშენიძე-სოიუჩოქ	მოწვეული ლექტორი	B2 ზოგადი ინგლისური B2.0 ზოგადი ინგლისური
6.	თამთა მშვიდლობაძე	მოწვეული ლექტორი	C1 ზოგადი ინგლისური C1.0 ზოგადი ინგლისური
7.	გიორგი ლობჯანიძე	პროფესორი	პრეკალკულუსი
8.	ნუგზარ სხირტლაძე	პროფესორი	კალკულუსი I
9.	გურანდა ჭელიძე	პროფესორი	პოლიტოლოგია
10.	ზურაბ ბრაგვაძე	პროფესორი	საქართველოს ისტორია
11.	ქეთევან მუხიგული	ასოცირებული პროფესორი	სოციოლოგია
12.	ვანო ჭიაურელი	მოწვეული ლექტორი	ფილოსოფია
13.	მზია თედიაშვილი	პროფესორი	ფსიქოლოგია
14.	ნუგზარ ბოჭოიძე	მოწვეული ლექტორი	ფიზიკის საფუძვლები
15.	მერაბ ბარსონიძე	მოწვეული ლექტორი	ხაზვა I
			ხაზვა II
			კომპიუტერული გრაფიკა AutoCAD არქიტექტორებისთვის
16.	რევაზ ხასია	მოწვეული ლექტორი	სახვითი ხელოვნება I
			სახვითი ხელოვნება II
17.	გიორგი წანაწყენიშვილი	მოწვეული ლექტორი	შესავალი სპეციალობაში
			არქიტექტურული დაგეგმარება IV
			მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაგეგმარება შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება
18.	მარინე მაისურაძე	მოწვეული ლექტორი	არქიტექტურული კომპოზიცია
			ფორმათწარმოქმნა არქიტექტურაში
			შენობათა რეკონსტრუქცია, რეგენერაცია, ადაპტაცია
			თანამედროვე არქიტექტურის კომპოზიციური თავისებურებები
19.	ოთარ ქარჩავა	მოწვეული ლექტორი	საშენი მასალები და ნაკეთობები
20.	გიორგი ომსარაშვილი	მოწვეული ლექტორი	გეოდეზია
21.	შოთა ნიჟარაძე	მოწვეული ლექტორი	შრომის უსაფრთხოება
22.	გიორგი მუხიაშვილი	მოწვეული ლექტორი	არქიტექტურული კონსტრუქციები I
23.	ლია ბალანჩივაძე	მოწვეული ლექტორი	არქიტექტურული კონსტრუქციები II
24.	მაია დავითაია	მოწვეული ლექტორი	არქიტექტურული სტილები და მიმართულებები I
			არქიტექტურული სტილები და მიმართულებები II
			დისკურსის თემები თანამედროვე არქიტექტურაში
25.	ნანა მეფარიშვილი	მოწვეული ლექტორი	ქართული სახლი
26.	გურამ აბულაძე	მოწვეული ლექტორი	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა ArchiCAD

#	სახელი და გვარი	სტატუსი	საგანი
27.	ზურაბ მათიაშვილი	მოწვეული ლექტორი	არქიტექტურული დაგეგმარება I
			არქიტექტურული დაგეგმარება II
			არქიტექტურული დაგეგმარება III
28.	მარია ფოჩხუა	ასოცირებული პროფესორი	ქალაქმშენებლობის თეორია
			ქალაქის დაპროექტება
			მცირე დასახლების დაპროექტება
			ლანდშაფტური არქიტექტურა
29.	მარიამ მენაბდე	ასისტენტ-პროფესორი	ინტერიერის დიზაინი
30.	ია კუპატაძე	მოწვეული ლექტორი	მდგრადი არქიტექტურის პრობლემები
			მდგრადი არქიტექტურის სემინარი
31.	დავით მეგრელიძე	მოწვეული ლექტორი	კომპიუტერული გრაფიკა Revit architecture I
			კომპიუტერული გრაფიკა Revit architecture II
32.	გიორგი გიორგაძე	მოწვეული ლექტორი	პროექტირების მენეჯმენტი
			საინვესტიციო დაგეგმარება
33.	რამაზ ჟღენტი	მოწვეული ლექტორი	მშენებლობის წარმოების ტექნოლოგია
34.	მერაბ ბოლქვაძე	პროფესორი	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საფუძვლები
35.	ომარ კილურაძე	მოწვეული ლექტორი	სამშენებლო თბოფიზიკა და ენერგოეფექტური შენობები
36.	დიანა დანელიანი	მოწვეული ლექტორი	გრაფიკული დიზაინი
			ინტერიერის 3D მოდელირება